პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 202 (6763)

19 1980 წ. ოქტომბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

19 ოქტომბერი. კვების მრეწველობის მუშაკთა დღეა

ავანგარდში — ფიზკულტურელები

სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, კვების მრეწველობის მუშაკები ყოველთვის საამაყო შრომითი წარმატებებით ეგებებიან თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს — კვების მრეწველობის მუშაკთა დღეს. წლევანდელი ზეიმი მაინც განსაკუთრებულია. თუნდაც იმიტომ, რომ რესპუბლიკის ბევრმა საწარმომ ვადამდე დაამთავრა ხუთწლედი და ახლა უკვე მათ შრომის კალენდარზე 1981 წელია აღნიშნული. მარტო წელს საქართველოს კვების მრეწველობამ ზეგეგმით 80 მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა მისცეს სახელმწიფოს. რა წვლილი შეაქვთ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს შრომისნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში, საერთოდ, ცალკეული კოლექტივების წინსვლაში? ჩვენს კორესპონდენტს ამის შესახებ ესაუბრა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **კ. ქრისტესიაშვილი.**

— რაც დრო გადის, — თქვა ქრისტესიაშვილმა — ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური მნიშვნელობა განუხრელად იზრდება. საყოველთაოდაა ცნობილი მისი სიკეთე საწარმოო მაჩვენებლების ამაღლებისთვის ბრძოლაში. ჩვენ სისტემაში, მაგალითად, 86 ათასამდე მუშა-მოსამსახურე ქმნის პროდუქციას. მათგან თითქმის ნახევარი ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობს. ეს ორი ფაქტი ერთად იმიტომ მომყავს, რომ სწორედ იქ, სადაც კარგადაა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ორგანიზებული, დროს უსწრებენ, გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ და ყოველთვიურ დავალებებს.

იმისთვის, რომ ფიზკულტურა და სპორტი, როგორც ამას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები მოითხოვს, ფართოდ დავნერგოთ მშრომელთა ყოველდღიურ ყოფაში, სისტემატურად ვახორციელებთ ხელმისაწვდომ ღონისძიებებს. ამ მხრივაც განსაკუთრებულია მიმდინარე ხუთწლედი. პირველად სწორედ ამ სამიოდე წლის წინათ ჩავატარეთ ორდღიანი მასობრივი ტურისტული შეკრება-შეჯიბრება კოჯორში. ამოცანა ისიც იყო, რომ ერთი დარგის მუშაკებს ერთმანეთი გაეცნოთ და შრომაში და სპორტში მიღწეული თავიანთი გამოცდილება გაეზიარებინათ. მოკლედ ვიტყვი: ამ ღონისძიებამ უფრო მეტი მოგვცა, ვიდრე ველოდით. მაშინ თვით მშრომელებმა წამოაყენეს წინადადება მომავალი შეკრება-შეჯიბრება ვაჭრობისა და კავშირგაბმულობის მუშაკებთან ერთად ჩაგვეტარებინა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მხარი დავუჭირეთ ამ თაოსნობას. ასე შევახვედრეთ და დავამეგობრეთ ერთმანეთს მომსახურეობის ამ სამი უმსხვილესი სფეროს წარმომადგენლები. მერე სხვა აზრიც გაჩნდა — ვაპირებთ ერთობლივი სპარტაკიადის ჩატარებას, რომლის პროგრამა ძირითადად მშთ ფიზკულტურულ კომპლექსში შემავალ სპორტის სახეობებს დაეთმობა. ჯერჯერობით კი დარგობრივ სპარტაკიადებში „მწიფდებიან" ჩვენი სპორტსმენები. სულ მალე ისინი კვების მრეწველობის III რესპუბლიკური სპარტაკიადის სტარტზე გამოვლენ. ეს შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობას მიეძღვნება. თავიანთ სპარტაკიადებს ატარებენ, აგრეთვე, ჩვენი მომავალი მეტოქეები — კავშირგაბმულობისა და ვაჭრობის დარგის მუშაკები. როგორც ჩანს, მომავალი შეხვედრა ერთობლივ სპარტაკიადაში (და ეს ალბათ უკვე მომავალ წელს მოხდება) უმაღლეს დონეზე შედგება.

კარგი შედეგი მოგვცა აგრეთვე ამ ხუთწლედში დამკვიდრებულმა კიდევ ერთმა ტრადიციამ — შრომისა და სპორტის მოწინავეთა შეკრებამ ბაკურიანში. ამ ღონისძიებას ყოველთვის ახალი წლის დასაწყისში ვატარებთ. ისინი, ვინც წარმატებით დაამთავრა მიმდინარე წელი, ვინც სამაგალითო იყო შრომასა და სპორტში, ბაკურიანში 10-12 დღეს აქტიურად ისვენებენ, მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში. მინდა აქვე დავასახელო ის კოლექტივები, რომლებსაც საუკეთესო შედეგები აქვთ მოპოვებული როგორც შრომაში ისე სპორტში. ესენი არიან: ცხაკაიას ჩაის საწარმოო გაერთიანება, სამტრედიის ჩაის საწარმო, ქუთაისის პურკომბინატი, ზუგდიდის ღვინის საწარმოო გაერთიანება, ხაშურის შუშისა და გორის საკონსერვო ქარხნები, მცხეთის ყველ-კარაქის კომბინატი, თბილისის კვების მრეწველობის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი. ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში სამაგალითონი არიან, აგრეთვე, საწარმოო გაერთიანება „თბილლუდი", რძის კომბინატი, შამპანური ღვინოების კომბინატი, საწარმოო გაერთიანება „თბილთამბაქო". მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ წარმატებები, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, მოპოვებულია „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს აქტიური დახმარებით.

ჩვენმა ორგანიზაციებმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებიც. წელს უკვე მომზადებულია 12680 მშთ ნიშნოსანი, 8 ათასამდე თანრიგოსანი სპორტსმენი და 3700-ზე მეტი ფიზკულტურის საზოგადოებრივი კადრი. გუშინ, თბილისში ჩამოვიდნენ მძლეოსნური ესტაფეტის მონაწილენი, რომლებმაც სტარტი ზუგდიდში აიღეს 8 ოქტომბერს. ეს ღონისძიება მიეძღვნა კვების მრეწველობის მუშაკის დღეს. ესტაფეტის მონაწილეებს გზადაგზა შეხვდნენ ცხაკაიას, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, ხაშურის, გორის, მცხეთის საწარმოთა ფიზკულტურელები და სპორტსმენები. სწორედ მათმა პატაკებმა გვამცნო, რომ გეგმის ზევით მომზადებულია კიდევ ასობით სპორტსმენი, მშთ ნიშნოსანი, საზოგადოებრივი კადრი.

დასასრულ მინდა ერთ სასიამოვნო ფაქტზე შევჩერდე. ამ დღეებში გფრ-ში დაიხურა კვების მრეწველობის პროდუქციის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა, სადაც საბჭოთა კავშირი მხოლოდ ჩვენი ნაწარმით იყო წარმოდგენილი: ქართულ ჩაის, ღვინო-კონიაკს და ხილეულის კონსერვებს, გამოფენაზე წარდგენილ ყველა პროდუქციას საყოველთაო აღიარება ხვდა წილად და ბევრმა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ შეისყიდა იგი. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ დიდ გამარჯვებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, რომლებიც ჩვენი მრეწველობის ავანგარდში დგანან.

საუბარი ჩაიწერა
თენგიზ გაჩეჩილაძემ.

ლიდერობს ბელიავსკი

ტაშკენტში პირველი ლიგის საკავშირო გათამაშების მეთორმეტე ტურში პლატონოვმა მოუგო სიდეიფ-ზადეს, ეინგორნმა—ტუკმაკოვს. ყაიმით დამთავრდა პანჩენკო—დორფმანის, რომანიშინ—სვეშნიკოვის და კუზმინ—რაზუვაევის პარტიები. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

ასპარეზობას ლიდერობს ბელიავსკი — 8 ქულა (ერთი გადადებული პარტია). მაია ჩიბურდანიძეს 5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს.

ლემაჩკოს გამარჯვება

სმედერევსკა-პალანკაში (იუგოსლავია) დამთავრდა ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი.

შესანიშნავად ითამაშა ბულგარელმა დიდოსტატმა ლემაჩკომ, რომელმაც 9 ქულით 13-დან I ადგილი დაიკავა. 8-8 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება დიდოსტატმა ლაზარევიჩმა და საერთაშორისო ოსტატმა დრაგაშევიჩმა (ორივე — იუგოსლავია). 7-7 ქულა მოაგროვეს საერთაშორისო ოსტატებმა ერენსკამ (პოლონეთი), პეტროვიჩმა და პროკოპოვიჩმა (ორივე — იუგოსლავია).

მეგობრული სულისკვეთება

უკვე მეხუთედ გვეწვივნენ ცნობილი დიდოსტატები და ოსტატები ვიქტორ გოგლიძის მემორიალში საპაექროდ. ზოგი მათგანი მეგობრობდა კიდეც სახელოვან ქართველ მოჭადრაკესთან, როგორც, მაგალითად, დიდოსტატი დ. ბრონშტეინი.

— თამაშის დროს სცენის თავზე მოთავსებულ გოგლიძის პორტრეტს რომ შევხედავ, მახსენდება საჭადრაკო შემოქმედებისადმი მისი მომთხოვნელობა და ვცდილობ არ დავარცხვინო იგი, ვთამაშობ მთელი მონდომებით, — გვითხრა ღვაწლმოსილმა დიდოსტატმა.

მემორიალში ჭეშმარიტად უმეღავათო ბრძოლაა გაჩაღებული. მათ, ვისაც თანრიგის ამაღლება სურს, მისთვის ბრძოლის სპორტული მხარე წინა პლანზეა. სხვაგვარად შეუძლებელია მოთხოვნათა შესრულება. ტურნირზე დაწესებულია აგრეთვე დიდოსტატის ბალის ნორმატივი — 11 ქულა, საერთაშორისო ოსტატისა — 8.

სწორედ ამ ტრადიციულ მემორიალებში ე. უბილავა საერთაშორისო ოსტატი გახდა და ახლა იგი ახალი, უფრო მაღალი წოდების მოსაპოვებლად იბრძვის. ზ. სტურუას საერთაშორისო ოსტატის ბალი სჭირდება, რომ ეს წოდება მიიღოს. პირველი ბალი მან ამას წინათ ჩეხოსლოვაკიაში დაიმსახურა, სადაც საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა.

რა თქმა უნდა, ყველა მონაწილეს თავისი ინტერესი ამოძრავებს. დიდოსტატებს პირველი პრიზი ხიბლავთ. ბ. გურგენიძე, ვ. ბაგიროვი და ე. გუფელდი უკვე იყვნენ მემორიალის ლაურეატები და ახლაც ცდილობენ კვლავ მიიღონ იგი.

უცხოელი სტუმრებიდან მემორიალში მეორედ მონაწილეობს ჩეხოსლოვაკიელი ი. პრიბილი. ეს მოჭადრაკე თავის ქვეყანაში ცნობილია როგორც ძლიერი ოსტატი და დიდოსტატ ვ. ჰორტის მწვრთნელი.

— ძნელია დიდოსტატის ნორმატივის შესრულება, მაგრამ მისთვის ბრძოლა ძალასა და რწმენას მმატებს, — ამბობს იგი.

ყურადღებას იქცევს ფილიპინელი ოსტატი რ. კორდოსო.

ეს ის კორდოსოა, 1958 წელს პორტოროჟის საზონათშორისო ტურნირში ბრონშტეინს პრეტენდენტის საგზური რომ დააკარგვინა, დასკვნითს ტურში პარტია მოუგო. ალბათ საინტერესო იქნება 22 წლის შემდეგ მათი პირველი შეხვედრა, რომელიც VIII ტურში გაიმართება.

ტურნირი დაამშვენა კუბის პირველი დიდოსტატის ს. გარსიას გამოსვლამაც. იგი პირველადაა საქართველოში, ჩვენში პირველად სტუმრობენ, აგრეთვე, შვედი ხ. შლიუსერი, ესპანელი ხ. სანცი და იუგოსლაველი ს. ჯურიჩი.

— სათამაშოდ კოტე კაიშაური უნდა წამოსულიყო, მაგრამ სამსახურიდან ვერ გაითავისუფლა თავი და ყველასთვის დიდი მოკითხვა დამაბარა,— გვითხრა გაცნობისას შვედმა მოჭადრაკემ.

მემორიალში ჭეშმარიტად მეგობრული და შემოქმედებითი განწყობილება სუფევს, რაც ღრმაშინაარსიანი საჭადრაკო ბრძოლის საწინდარია.

მეხუთე ტურში გუფელდმა დაამარცხა პრიბილი, უბილავამ—მიხალჩიშინი, დვორეცკიმ—შუსლერი, კორდოსომ—სანსი. ყაიმით დამთავრდა ჯურიჩ—აზმაიფარაშვილის, სტურუა—ბაგიროვის და ბრონშტეინ—გარსიას პარტიები. ზაიჩიკ—გურგენიძის პარტია გადადებულია გურგენიძის უპირატესობით. 4-4 ქულით ლიდერობენ გუფელდი და უბილავა.

თ. გიორგაძე,
მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მიმდინარეობს ვ. გოგლიძის მემორიალი.

● ჭადრაკი

მშვიდობიანი ტური

ბუენოს-აირესში გაიმართა დიდოსტატთა საერთაშორისო საჭადრაკო ასპარეზობის III ტურის შეხვედრები. უმეტესი პარტია ყაიმით დამთავრდა: მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი შავებით ბალაშოვთან ფრეს დასჯერდა. ასეთივე შედეგებით დასრულდა ოლაფსონ (ისლანდია) — ლიუბოევიჩის (იუგოსლავია), ანდერსონ (შვეცია) — ნაიდორფის (არგენტინა), პანო—ჯიარდელის (ორივე—არგენტინა) შეხვედრები. კინტეროს (არგენტინა) — კავალეკის (აშშ), ჰორტ (ჩეხოსლოვაკია) — ლარსენის (დანია) და ბრაუნ (აშშ) — ტიმანის (ჰოლანდია) პარტიები გადაიდო. ლარსენისა და კინტეროსის მეორე ტურის პარტია ყაიმით დასრულდა. სამი ტურის შემდეგ ანდერსონს 2 ქულა აქვს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან კარპოვი, ბალაშოვი, ლიუბოევიჩი და კიდევ სხვა 3 მოჭადრაკე.

ანგარიშია 10:6

ზაკოპანეში (პოლონეთი) დამთავრდა ამხანაგური მატჩი გდრსა და პოლონეთის გუნდებს შორის, რომელიც ოთხ დაფაზე მიმდინარეობდა. ანგარიშით 10:6 გაიმარჯვა გდრ-ის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ დიდოსტატები ულმანი, კნააკი; ფოგთი და საერთაშორისო ოსტატი ესპიგი.

საბჭოთა ოსტატს — საპატიო პრიზი

ესპანეთის სპორტულ ჟურნალისტთა კავშირმა 1980 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარა მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების სამგზის გამარჯვებული, საბჭოთა მოცურავე ვ. სალნიკოვი. როგორც საკდესის კორესპონდენტს ამ კავშირის თავმჯდომარემ მ. ვიდალმა განუცხადა, კავშირის წევრთა გადაწყვეტილება ერთსულოვანი იყო. სალნიკოვის წარმატება ოლიმპიადაზე შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ასევე ოლიმპიური ჩემპიონის ჯ. ვაისმიულერის მიღწევას, როცა მან 1927 წელს 100 მეტრი 1 წუთზე ნაკლებ დროში დაფარა.

შემდეგ ვიდალმა აღნიშნა, რომ წლის საუკეთესო სპორტსმენს ეს პრიზს გადასცემენ სპორტულ დღესასწაულზე, რომელსაც გამოჩენილი პოლიტიკური საზოგადო მოღვაწენი და სპორტული ჟურნალისტები ესწრებიან. წლეულს ასეთი ზეიმი 24 ნოემბერს გაიმართება.

პანორამა

● ველოსპორტი

ისევ გამარჯვება

მეხიკოს ხისსაფარიან ოლიმპიურ ტრეკზე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით კიდევ ერთ სახეობაში დამთავრდა შეჯიბრება. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში თბილისელი ი. კაზაკოვიც იყო, ფინალში მოუგო გდრ-ის გუნდს და ჩემპიონობა მოიპოვა. გამარჯვებულებმა 4.22,37 აჩვენეს, მეორე პრიზიორებმა — 4.23,60. ბრინჯაოს მედლები ერგოთ დიდი ბრიტანეთის სპორტსმენებს — 4.30,33. 30 კილომეტრზე ჯგუფური რბოლა (საშუალედო ფინიშებით) მოიგო ლ. მათიასმა (გფრ) — 29 ქულა.

დღეს ჩემპიონატი მთავრდება — გათამაშდება მედლების უკანასკნელი კომპლექტი საგზატკეცილო ჯგუფურ რბოლაში.

● კალათბურთი

მესამე ნაგება

რიგის ვეფ-მა ჩემპიონატის სტარტზე მესამე დამარცხება განიცადა: ამ გუნდმა შინ კიევის ასკ-სთან წააგო ანგარიშით — 76:104 (48:51). კიეველმა სალნიკოვმა თავის გუნდს 41 ქულა მოუტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურა ჩვენს ყოფაში

კარს ნუ ჩავურაზავთ!

ჩემმა მეზობელმა ამ ორიოდე დღის წინათ შემომჩივლა:

— ბოლო დროს ძალიან დაგვჩაგრეს გამაჯანსაღებელი ჯგუფის წევრები და იქნებ „ლელო" გამოგვექომაგოსო! — სწორედ მაშინ გავიგე, რომ ჩემი კარის მეზობელი პროფესიით ფიზიკოსი, რამდენიმე წელია ყოველ დილით „ლოკომოტივის" სტადიონზე დადის სავარჯიშოდ.

მეორე დღეს უთენია მომიხდა ადგომა. 6 საათზე უკვე „ლოკომოტივის" სტადიონის ცენტრალურ შესასვლელთან ვიყავით. ამ დროს აქ დაახლოებით ასამდე ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარული იყრის თავს და, ვინაიდან სტადიონზე შესასვლელი ყველა კარი ჩარაზულია, მათ რკინის მაღალ ღობეებზე უხდებათ გადაძრომა (ან შემთხვევით სადმე დატოვებულ ღრიჭოში). სისხამი დილა იყო, ჯერ კიდევ ბნელოდა, სტადიონის სარბენ ბილიკზე კი უამრავი ლანდი მოძრაობდა, მერე თანდათანობით ინათა და „სპორტსმენებიც" გავარჩიე. დარბოდნენ შვილიშვილები და თმაჭაღარა ბაბუები, მსუქან-მსუქანი და გამხდარ-გამხდარი ფიზკულტურელები, ზოგი მოთელვას აკეთებდა, ერთ ნაწილს სირბილი დაემთავრებინა და ფეხბურთის თამაშზე გადასულიყო. — ნაწილი აქ ვარჯიშობს, სხვები კი ბილიკებით კუს ტბის მიდამოებში დარბიან, — მითხრა კარის მეზობელმა.—ადრე აქაური გასახდელებითა და საშხაპეებით ვსარგებლობდით, შემდეგ კი...

დასავლეთ ტრიბუნის მესამე რიგში ვსხედვართ, ის მიყვება, მე კი თანმიმდევრულად ვიწერ ყველაფერს...

— კორესპონდენტი ბრძანდებით? — მოგვიახლოვდა რეიტუზებსა და კედებში გამოწყობილი ოდნავ თმაჭაღარა კაცი.

— დიახ! — ვპასუხობ და მზად ვარ ინტერვიუ ახლა მასთან გავაგრძელო.

— მაშინ ჩვენს გულისტკივილსაც გაგიზიარებთ: აქ ბევრი ჯგუფი ვარჯიშობს, ეს ჯგუფები არავის ჩამოუყალიბებია, უბრალოდ სხეულის გასაკაჟებლად მოვიდნენ ადამიანები და ერთმანეთი აქ გაიცნეს. ჩვენს გამაჯანსაღებელ ჯგუფს „ხალისი" ჰქვია და 20 კაცისგან შედგება. ყველაზე ხნოვანი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, პატივცემული გრიშა გაგუაა, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა 28 წლის პედაგოგი დათო კოპლატაძე გახლავთ. მერვე წელია ასე შეხმატკბილებულად ვვარჯიშობთ, ჩვენვე ვართ ჩვენი ჯგუფის მეთოდისტებიც, ექიმებიც და ბატონ-პატრონებიც. ამ ბოლო დროს კი სტადიონზე შემოსასვლელი ყველა კარები ჩაგვირაზეს და ღობეებზე საძრომად გაგვიხადეს საქმე.

— კი მაგრამ რატომ? რა დააშავეთ?

— ისეთი არაფერი, ამ რამდენიმე თვის წინათ გამოგვიცხადეს: „აქ მოჭიდავეები შეკრებას გადიან და ხელს უშლითო". ჩვენი ხელის შეშლა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ დილაობით, დაახლოებით 10-12 მანქანით შემოვდიოდით სტადიონის ტერიტორიაზე, აქ სამანქანო გზაც არის და მანქანის დასაყენებელი ადგილიც. ალბათ გაიკვირვებთ, რაღა მაინც და მაინც „ლოკომოტივის" სტადიონი ამოვირჩიეთ და ქალაქის სხვა და სხვა უბნებიდან მოვდივართ სწორედ აქ? ყურადღება მიაქციეთ როგორი ჰაერია ამ მიდამოებში...

დიახ, პირველი, რასაც აქ იგრძნობთ, ეს იდეალურად სუფთა ჰაერი და საოცარი სიწყნარეა. ასეთ გარემოში ვარჯიში მართლაც დედის რძესავით შეერგება კაცს. სტადიონს ყოველი მხრიდან აკრავს ხელოვნური ტყე.

— რომ იცოდეთ, როგორ შეგვამჭიდროვა დილის ვარჯიშებმა, უკვე ოჯახებითაც დავუახლოვდით ერთმანეთს. ხშირად ვაწყობთ ექსკურსიებს ქალაქგარეთ, რაიმე პრობლემა თუ წამოიჭრა ჩვენს შორის, საერთო ძალით ვწყვეტთ. მოკლედ, ერთი დედმამიშვილებივით შევეთვისეთ ერთურთს! — ჩემმა მოსაუბრემ, ზაურ ჯიქიძემ — ფინანსთა სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ — თავისი მეგობრები გამაცნო: თბილისის რკინიგზის სადგურის თანამშრომელი გრიშა ირემაძე, წარსულში ცნობილი მოკრივე, სპორტის ოსტატი, 43 წლის ინჟინერი ირაკლი მელაძე, 34 წლის ინჟინერი თემურ ბარნოვი. სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სახელმოხვეჭილ ფალავანსა და გამაჯანსაღებელი ჯგუფის ერთ-ერთ ბეჯით წევრს ზარიბეგ ბერიაშვილს რაღა გაცნობა უნდა, მას ხომ მთელი მსოფლიო იცნობს. აქვე გავიცანი ინჟინერი ამირან შუბლაძე და სხვები.

რა აიძულებს ამ ადამიანებს ყოველ დილით ექვსის ნახევარზე წამოდგნენ და წლის ნებისმიერ დროს, ამინდის ნებისმიერ პირობებში „ლოკომოტივის" სტადიონს მიაშურონ? ბევრი მათგანი ადრე გულს, ასთმას და სხვა დაავადებას უჩიოდა, ექიმმა მათ ვარჯიში გამოუწერა და ისინიც გამოზომილი დოზით ღებულობდნენ ჯანმრთელობის ამ უებარ საშუალებას. ახლა ასაკის მიუხედავად, თითოეულ მათგანს დილაობით 10-12 კილომეტრის გარბენა და შემდეგ ფეხბურთის თამაში შეუძლია, ავადმყოფობა ვისლა ახსოვს!

— ცხოვრებას ხალისი, შნო და ლაზათი მოემატა, აღარ ვილევი, ყოველგვარ წინააღმდეგობებს გაცილებით აუღელვებლად და ადვილად ვძლევ, — მეუბნება გრიშა ირემაშვილი.

— რომ არ ვივარჯიშებ, იმ დღეს მოთენთილი ვარ, თითქოს ღონეც მელევა. აუცილებელია ყოველდღიური ვარჯიში, — ამბობს გურამ ქორქაშვილი, შემდეგ უმატებს — ოღონდ სტადიონის კარს ნულარ ჩაგვირაზავენ...

თ. ქეიშვილი.

ვარსკვლავებისაკენ მიისწრაფვიან...

ჩვეულებრივ, როცა საქართველოში ცხენოსნობის განვითარების საკითხებზე საუბრობენ, ხშირად იხსენებენ ხოლმე ფარსმან მეფისა და მისი ამალის საოცარ ჯირითს, რომლის გამოც აღფრთოვანებულმა რომაელებმა ცხენზე ამხედრებულ ქართველ მეფეს მარსის ველზე ქანდაკებაც კი დაუდგეს. იმის გახსენებაც უყვართ, წინათ იერუსალიმში ცხენზე ამხედრებულს მხოლოდ ქართველს შეეძლო შესვლა, მაგრამ საამო მოგონებები მხოლოდ ჩვენი საუკუნის შუამდე აღწევს. „მოგონებათა ფურცელი" თანდათან უფერულდება...

ისტორიის გახსენება დიახაც რომ საჭიროა და აუცილებელიც, მაგრამ, დიდი ილიასი არ იყოს, დროა:

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ
დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა
ვარსკვლავს..."

და მართლაც, ამ ოთხიოდე წლის წინათ საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა და „კოლმეურნეს" ცენტრალურმა საბჭომ ერთობლივი დადგენილება მიიღეს „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივნისის დადგენილების შესაბამისად, სოფლად საცხენოსნო სპორტის განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

სწორედ ამ დადგენილების შემდეგ ჩვენმა ცხენოსნებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად „კოლმეურნეს" წარმომადგენელმა მ. კიკიანმა ორიოდე წლის წინათ ცხენის გაწვრთნაში სსრ კავშირის ჩამპიონის ტიტული მოიპოვა. სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალურ პაექრობებში საქართველოს ნაკრებმა VI ადგილი დაიკავა.

ყოველგვარი წარმატება-წარუმატებლობა შედარებითია და ამიტომ VII სპარტაკიადაზე ჩვენი ცხენოსნების გამოსვლა წინგადადგმულ ნაბიჯად რომ ჩავთვალოთ, უთუოდ უნდა გავიხსენოთ მისი წინამორბედი სპარტაკიადებიც, როცა რესპუბლიკის მხედრები მხოლოდ XI-XII ადგილებს იკავებდნენ.

პროგრესზე მიუთითებს ისიც, რომ იმავე VII სპარტაკიადაზე ზუგდიდელმა ო. ჯაფარიძემ სამჭიდში IV ადგილი დაიკავა, ხოლო ოჩამჩირელმა გ. სამველიანმა და გუდაუთელმა ხ. სიმონიამ ხტომებში V ადგილი დაიკავეს.

საინტერესოა ამგვარი სტატისტიკაც: 1978 წელთან შედარებით შარშან კიდევ 14 ფიზკულტურულ კოლექტივში დამკვიდრდა ცხენოსნობის სექციები, რომელთა რაოდენობამ 86-ს მიაღწია. ამ სექციებში ათასამდე სოფლის ახალგაზრდა გაერთიანდა, ამასთან, დღეს თითქმის ორჯერ მეტი (183) სპორტული ცხენი გვყავს. ყოველივე ამან, ბუნებრივია, საცხენოსნო სპორტის განვითარებას პროგრესი გამოიწვია. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ შარშან 2 სპორტის ოსტატი, 8 ოსტატობის კანდიდატი და 30 პირველთანრიგოსანი და მასობრივი თანრიგის 112 სპორტსმენი მომზადდა. ეს ციფრები ორჯერ აღემატება 4 წლის წინანდელ მონაცემებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წარმატებაში, როგორც იტყვიან, ლომის წილი სოფლის სპორტსმენებზე მოდის და ცხენოსნობის განვითარებისთვის სპორტსაზოგადოებებიდან ძირითადად სწორედ „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭო ეწევა ყველაზე ნაყოფიერ შრომას. მოწინავეთა შორის უნდა დავასახელოთ გუდაუთის, ოჩამჩირისა და გალის საცხენოსნო სპორტკლუბები.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საქართველოში ცხენოსნური სპორტის აღმავლობა მაინც არ მიდიოდა იმ ტემპებით, როგორიც სასურველია. საკმარისია აღინიშნოს, რომ გულრიფშის, სოხუმის, ცხაკაიასა და სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბები წლების განმავლობაში ჩამორჩენილთა შორის იმყოფებოდნენ. იშვიათად ტარდებოდა მასობრივი შეჯიბრებები ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში, ეს კი ამუხრუჭებდა კლასიკური სახეობების შემდგომ აღმავლობას. რაც შეეხება თბილისის იპოდრომს, იგი ვერა და ვერ იქცა საცხენოსნო სპორტის განვითარების ცენტრად. ან კიდევ განა შეუწყნარებელი არ იყო, რომ 183 ცხენისთვის განკუთვნილი 534 ტონა თივიდან და 401 ტონა შვრიიდან შესაბამისად 100 და 200 ტონა საკვები ეძლეოდათ.

აქ უნებურად გვახსენდება ის ფაქტი, რომ წინათ საქართველოში ცხოველებიდან ძაღლთან ერთად ცხენის კულტიც არსებობდა და იგი ყველაზე საყვარელ ცხოველად ითვლებოდა. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ცხენების ერთობ ხელმომჭირნეობით კვება თივისა და შვრიის საერთო ნაკლებობის გამო იყო გამოწვეული.

კიდევ ბევრი სხვა ნაკლოვანებებიც იყო და ამიტომ ამ გაზაფხულზე საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიამ, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა და „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა საგულისხმო დადგენილება მიიღო.

ამ დადგენილების საფუძველზე საცხენოსნო სპორტი „კოლმეურნეს" ცენტრალურ საბჭოზე განპიროვნდა და მისი შემდგომი განვითარებისთვის ზრუნვაც მას დაევალა. კიდევ სხვა მრავალი ღონისძიება დაისახა და შედეგებმაც არ დააყოვნეს — თბილისის იპოდრომის ბაზაზე პირველი სექტემბრიდან გაიხსნა საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცხენოსნობის სპორტული სკოლა, რაც უთუოდ კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე.

სულ ახლახანს „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს ცხენოსნებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. მათ კაუნასში გამართულ სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრების გუნდურ პირველობაში III ადგილი მოიპოვეს (პირველი იყო უკრაინის „კოლოსი", მეორე — ლიტვის „ნიამუნასი"). ასეთი შედეგისთვის ჩვენს ცხენოსნებს ბარე უკვე ორი ათეული წელია არ მიუღწევიათ (იმ პერიოდში მათ მხოლოდ IX-X ადგილებზე თუ ვხედავდით).

პირად პირველობაში ცხენის გაწვრთნაში თბილისელმა მ. კიკიანმა № 2 საშუალო პრიზზე II ადგილი დაიკავა, ოჩამჩირელმა მ. სამველიანმა და ო. ნარმანიამ გახსნის პრიზზე II და III ადგილები მოიპოვეს.

გუნდში 8 მხედარი იყო. ზემოხსენებული სამეულის გარდა, „კოლმეურნეს" სახელს ზუგდიდელი ო. ჯაფარიძე და ზ. წურწუმია, გალელი ვ. მესხია, თბილისელები რ. მესტვირიშვილი და ი. კოჟინა იცავდნენ. მართალია, მათ საპრიზო ადგილები ვერ მოიპოვეს (ისინი IV-VI ადგილებზე გავიდნენ), მაგრამ გუნდის საერთო წარმატებისთვის ძალღონე არ დაიშურეს და თავიანთი წილი აგურიც დადეს.

„კოლმეურნეს" ცხენოსნებმა, რომ იტყვიან, პირველი ვარსკვლავი მოწყვიტეს. ცაზე კიდევ გაცილებით უფრო კაშკაშა ვარსკვლავებია და გვინდა გვჯეროდეს, რომ საქართველოს ცხენოსანთა ბედაურები მათკენ მიიჩქარიან. ამ სწრაფვაში პირველი წარმატება მათ უთუოდ ფრთებს შეასხამთ.

ა. გურასაშვილი.

საქართველოს ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

□

ონის სარბიელზე

საქართველოს პირად-გუნდურმა პირველობამ კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც ამ დღეებში ონში გაიმართა, დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს გასაგებიცაა — ახალბედების მხარდამხარ სარბიელზე არაერთი სახელგანთქმული ფალავანი გამოვიდა და ორთაბრძოლებიც დაძაბულად მიმდინარეობდა. გამარჯვებისთვის „დინამოს", „ბურევესტნიკის", „კოლმეურნეს", თბილისის არმიის სპორტკლუბის, „განთიადისა" და „სპარტაკის" მოჭიდავეები იბრძოდნენ.

გუნდურ პირველობაში ყველას არმიელმა სპორტსმენებმა (მწვრთნელი ლ. ხარტიშვილი) აჯობეს, II და III ადგილებზე შესაბამისად „განთიადისა" და „დინამოს" კოლექტივები გავიდნენ.

პირად ტურნირში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: პ. სენეგეროვმა („სპარტაკი", სოხუმი), ა. ჯანგავაძემ (ასკ), მ. ტაბატაძემ („დინამო", თბილისი), ა. ქველიაშვილმა („განთიადი", თბილისი), მ. ჭავჭანიძემ, თ. წინწალაშვილმა, ი. ბერიშვილმა, მ. ლექავამ (ყველა — ასკ), ნ. ჩანჩიბაძემ („კოლმეურნე", ბათუმი), რ. კანთელაძემ („ბურევესტნიკი", თბილისი).

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, რესპუბლიკურ პირველობაში გამოცდილ მოჭიდავეებთან ერთად ახალგაზრდა სპორტსმენებმაც გამოიჩინეს თავი. სპეციალისტები მათ კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. თებერვალში როსტოვში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი გაიმართება და ახლა რესპუბლიკის უძლიერესი „კლასიკოსები" სწორედ ამ ტურნირისათვის ემზადებიან.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ონის რაიონის ხელმძღვანელობამ, სპორტულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ საქართველოს პირველობა მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე ჩატარებულიყო. ადგილობრივ წარმოება-დაწესებულებათა თაოსნობით დაწესდა სპეციალური პრიზები, რომლებიც პირველობის საზეიმო დახურვისას გადაეცათ მოჭიდავეებს.

ი. ჯულელი,
სპორტის ოსტატი.

სარედაქციო ფოსტა

ყვიბისელთა გასაჭირი

ძვირფასო რედაქციავ, თქვენს გაზეთში ხშირად ქვეყნდება წერილები სოფლის სპორტის პრობლემურ საკითხებზე. ამ წერილებით ვგებულობთ ამა თუ იმ სოფლის მესვეურთა ზრუნვასა თუ უყურადღებობას სპორტის მოყვარულთა მიმართ. სამწუხაროდ, ჩვენი სოფლის ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულები ამ უკანასკნელთა შორის ვართ.

ჩვენი გასაჭირი იმაშიც მდგომარეობს, რომ სოფლის ფეხბურთის მოედნის შორიახლოს ბინებს აშენებენ, საშენ მასალას კი პირდაპირ სარბიელზე ყრიან. ამას გარდა, მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ, როცა რწყვის დრო დგება, წყლის კალაპოტს პირდაპირ მოედანზე უკრავენ ხოლმე თავს. ახლა ამას მინდვრის ახლოს მობინადრეთა ბაღებში გადავარდნილი ბურთიც დაუმატეთ, რომელიც დაჭრილი გვიბრუნდება.

აი, ყოველივე ამის გამო გადავწყვიტეთ ჩვენი გასაჭირი თქვენთვის გაგვეზიარებინა და დახმარება გვეთხოვა.

თუ ჩვენ წერილს „ლელოში" გამოაქვეყნებთ, იქნებ ამის მერე მაინც გვეშველოს რამე.

ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისის ახალგაზრდობის სახელით:

გ. გოგოლძე,
ა. სტეფანაძე.

უმაღლესი ლიგა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 18 ოქტომბერი. „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:1 (0:0).

„დინამო": გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხიზანიშვილი, ჰილაია (კოსტავა), დარასელია, სულაქველიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (მეშკოვი).

„ტორპედო": ჩანოვი, კრუგლოვი, ქუპიკოვი, ფომიჩევი, პრიგოდა, პეტრენკო, პოლუკაროვი, ვასილიევი, კოვალიოვი, სახაროვი, ხრაბროსტინი (გალაიბა).

მსაჯი ნ. პოხოდენკო (მაიკოპი).

კარგად მახსოვს თბილისის დინამოელთა პირველი კალენდარული მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან"... 1936 წლის გაზაფხულზე. ორივე გუნდი მაშინ „ბ" ჯგუფში გამოდიოდა. თბილისელებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 2:1 და შემოდგომისთვის „ა" ჯგუფში გადაინაცვლეს. შემდეგ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს ტორპედოელებმაც.

კიდევ 2 ქულა

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა ფეხბურთში, თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" მეტოქეობა კი კვლავ და კვლავ დარჩა ჩვენი ფეხბურთის მშვენებად. ვინ მოთვლის, რამდენი ბრწყინვალე მატჩი უთამაშიათ მათ ერთმანეთს შორის, რამდენი საფეხბურთო შედევრი მიუძღვნიათ მაყურებლისთვის. ან როგორ შეიძლება დაივიწყო ტორპედოელი ვირტუოზები ა. სინიაკოვი, ი. კოჩეტკოვი, გ. ჟარკოვი, ა. პონომარიოვი, ა. აკიმოვი, ვ. ვორონინი, ვ. ივანოვი, ე. სტრელცოვი და სხვანი.

ერთი სიტყვით, საერთო ბევრი აქვს ამ ორ გუნდს, მაგრამ ერთი რამ კი საგანგებოდ უნდა ითქვას: იშვიათად, რომ რომელიმე მეტოქის მიმართ ისეთი სიმპათიით იყვნენ განწყობილი თბილისელი მაყურებლები, როგორც „ტორპედოსადმი". ტლანქი, ძალისმიერი თამაში, უხეშობა, ანტიფეხბურთი — უცხო რამაა ავტოქარხნელთათვის, თუმცა ბოლო ხანებში მათ შესამჩნევად მოუკლეს კლასს: 1976 წლის შემოდგომის ჩემპიონობის შემდეგ გუნდმა ჩამოინაცვლა ჯერ მე-4, მერე მე-8, და, თქვენ წარმოიდგინეთ, მე-16 (!) ადგილამდეც კი.

წლეულსაც ვერ იყო კარგად ტორპედოელთა საქმეები. დონეცკიდან გადმოყვანილი მწვრთნელის ვ. სალკოვის ხელში გუნდმა ვერ გამოასწორა მდგომარეობა, ეტყობა, „შახტიორთან" მუშაობის მეთოდები არ გამოდგა ამ მაღალტექნიკურ ფეხბურთელებთან საქმიანობაში, გუნდი გათამაშების ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფებოდა და კლუბი იძულებული იყო დაებრუნებინა თავისი ძველი უფროსი მწვრთნელი ვ. ივანოვი.

მართალია, „ტორპედოს" ჩვეული ხელწერა, მაღალი ინდივიდუალური საშემსრულებლო ოსტატობა გუნდის ახალ წევრებს აკლიათ (ისინი დროდადრო ძალისმიერ თამაშსა და უხეშობასაც საკმაოდ მიმართავენ), მაგრამ საბრძოლო თვისებები, სანებისყოფო მომზადება კი არა და დინამოელთა ხშირი იერიშების პაუზებში ძალზე სახიფათო, მწვავე შეტევებს ავითარებდნენ. მატჩის დასაწყისში დარასელიამ, გუცაევმა, შენგელიამ, ყიფიანმა ზედიზედ შექმნეს საგოლე მომენტები ტორპედოელთა კართან, სადაც უშეცდომოდ თამაშობდა მეკარე ჩანოვი. ამავე დროს საპასუხო შეტევაზე სტუმრებიც გადადიოდნენ, უმთავრესად — მარჯვენა ფლანგიდან.

კიდევ უფრო მეტი ხიფათი დატრიალდა „ტორპედოს" კართან მეორე ტაიმის პირველ წუთებზე, ჩანოვი ერთთავად „საქმეში" იყო და როცა გოლს წუთიწუთზე მოველოდით მის კარში, სტუმრებმა კვლავ მარჯვენა ფრთიდან განახორციელეს შეტევა, გარღვევაზე გავიდა პეტრენკო და მისმა დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:0. ეს მოხდა 56-ე წუთზე.

დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, მათ კიდევ უფრო შეუპოვრად შეუტიეს მეტოქეს. 62-ე წუთზე ჩივაძის შორეული დარტყმა კარის ზედა ძელს მოხვდა, ბურთი დაუბრუნდა მინდორს და აქ ზუსტად ითამაშა გუცაევმა — 1:1.

74-ე წუთზე დინამოელებმა მორიგი იერიშის დროს საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს. ყიფიანის გადაცემაზე მინდვრის სიღრმიდან ზედ კარის წინ გავიდა ჩივაძე და თავით მეორე ბურთი გაიტანა — 2:1.

გამარჯვება ძნელ, დაძაბულ ბრძოლაში იქნა მოპოვებული, იოლ მოგებას არც არავინ ელოდა მოსკოვის „ტორპედოსთან". მით უფრო სასიამოვნო და იმედისმომცემია ეს წარმატება ევროპის ჩემპიონთა თასის მომავალი მატჩის წინ ირლანდიის „უოტერფორდთან". ცნობილია, რომ ირლანდიელები საგანგებოდ ემზადებიან თბილისის „დინამოსთან" შესახვედრად, მაგრამ ჩვენი გუნდის მიერ გუშინ გამოვლენილი მაღალი საბრძოლო თვისებები, ფეხბურთელთა გამარჯვებისადმი სწრაფვა იმედიან განწყობას გვიქმნის ევროპული ტურნირის მომავალ მატჩებში.

რ. ქორიძე.

□

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურის მორიგი კალენდარული შეხვედრები:

„ჩერნომორეცი" — „კარპატი" 1:1

„ყუბანი" — „შახტიორი" 1:0

„დინამო" მნ. — „ზენიტი" 2:1

„ფახთაქორი" — „სპარტაკი" 1:2

ასკ რ. — „დინამო" კ. 3:3

„დინამო" მ. — „არარატი" 2:1

ჩემპიონთა თასის პირველი წრის მატჩები ასე თუ ისე კანონზომიერი შედეგებით დასრულდა ერთი დიდი მოულოდნელობის გარდა: „ნოტინჰემ ფორესტის" მარცხი ბულგარეთის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამესთან".

ვინ აპირებს „ნოტინჰემ ფორესტის" შეცვლას ჩემპიონთა თასის მფლობელის პოსტზე? რას ელიან მიმომხილველები გათამაშების მეორე წრეში?

ყურადღების ცენტრშია ჩემპიონთა თასის ყოფილი მფლობელების — მიუნხენის „ბაიერნისა" და ამსტერდამის „აიაქსის" შეხვედრა. „ბაიერნი" ახლა მტკიცედ ლიდერობს ბუნდესლიგაში. შემადგენლობა შარშანდელისგან პრაქტიკულად არ განსხვავდება. მწვრთნელი ჩერნაი მიიჩნევს, რომ გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა საბერძნეთის ძლიერ კლუბ „ოლიმპიაკოსთან" (4:2, 3:0). „აიაქსს" გაცილებით უფრო სუსტი მეტოქე ჰყავდა ტირანას „დინამოს" სახით (2:0, 1:0). „ბაიერნთან" შედარებით ჰოლანდიელთა შესაძლებლობები მიმომხილველებს აშკარად უარესად მიაჩნიათ.

დიდი სენსაციის ავტორი ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე", რომელიც ახლა ბულგარეთის ნაკრების ბირთვს წარმოადგენს, ასევე ფავორიტად ითვლება პოლონეთის ჩემპიონ „შომბიერკისთან" შეხვედრაში. „ლივერპული", ინგლისის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი, უკეთეს შესაძლებლობებს ინარჩუნებს „აბერდინთან" (შოტლანდია). ინგლისელთა შემადგენლობაში ახლა კარგად თამაშობს ცნობილი ნახევარმცველი მაკდერმოტი.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონ „ბანიკის" შეხვედრა ბერლინის „დინამოსთან". ბერლინის გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" მაღალ შეფასებას აძლევს „ბანიკს" თუნდაც იმიტომ, რომ აქ გამოდის ნაკრების 5 წევრი.

ევროპული ტურნირები

წრის მოულოდნელობანი

საფრანგეთის „ნანტს" ამჟამად აშკარა შეტევაზე აქვს კურსი აღებული. იგი, განსაკუთრებით საკუთარ მინდორზე, მეტად აგრესიულია. მისმა მეტოქემ „ინტერმა" (იტალია) ავსტრიელი პროჰასკას სახით შეიძინა გამოცდილი გამთამაშებელი. მის მხარდამხარ ახალგაზრდა მილანელი თავდამსხმელები გაცილებით უფრო სახიფათოდ მოქმედებენ.

მადრიდის „რეალს" წინასწარ ანიჭებენ უპირატესობას ბუდაპეშტის „ჰონვედთან" შეხვედრაში. მადრიდელებს ძლიერი თავდასხმა ჰყავს (ხუანიტო — სანტილიანა — კანინგჰემი), რომელთანაც ბრძოლა „ჰონვედს" უნდა გაუჭირდეს. მართალია, ესპანელთა დაცვაში არის სუსტი ადგილები, მაგრამ ბუდაპეშტელებს არა ჰყავთ ისეთი თავდამსხმელები, ეს გარემოება რომ ჯეროვნად გამოიყენონ.

პირველი წრის გარკვეული მოულოდნელობა იყო „ბაზელის" (შვეიცარია) დამაჯერებელი თამაში „ბრიუგესთან" (ბელგია) — 1:0, 4:1. ახლა შვეიცარიელებს ძლიერი მეტოქე ჰყავთ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" სახით, რომელიც იუგოსლავიის ნაკრების ბირთვს შეადგენს. ამ წყვილში ძნელია რომელიმეს მიანიჭო უპირატესობა.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა მოსკოვის „სპარტაკის" მეტოქე „ესბიორგის" შესახებ. მართალია, დანიის ჩემპიონმა პირველ წრეში გაიმარჯვა შვეციის „ჰალმსტადთან" (0:0, 3:2), მაგრამ „სპარტაკი" მაინც ვერ დაემდურება წილისყრის შედეგებს. „ესბიორგს" არა ჰყავს მაინცდამაინც მაღალი კლასის ფეხბურთელები. ცნობილია, რომ ყველა გამოჩენილი დანიელი ოსტატი (ასეთები კი დღეისთვის მრავლად არიან) საზღვარგარეთ თამაშობს.

იმ გაცხრილვის შემდეგ, რასაც პირველ წრეში ჰქონდა ადგილი, სიმძაფრემ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში აშკარად უნდა იმატოს.

გ. თორელი.

კონსტიტუციის თასზე

დიდი ინტერესი გამოიწვია კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშებამ ფეხბურთში ბათუმის ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ტრანსფორმატორების ქარხნის გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს სტუდენტმა ფეხბურთელებმა — 1:0, რომლებიც დაეუფლნენ კიდეც თასს.

ბათუმის სპორტკომიტეტის ეს ღონისძიება სასარგებლო და საჭირო საქმეა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელ გათამაშებაში გამოდიოდა 16 გუნდი, წლეულს კი მხოლოდ 8. დასანანია, რომ თასისთვის ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ „ვოდნიკი", „ლოკომოტივი", „შრომითი რეზერვები", აგრეთვე, მსხვილ საწარმო-დაწესებულებათა გუნდები.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

საქართველოს ჩემპიონატი

II ჯგუფი

I ზონა

„განახლება" (ადიგენი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 3:0, „ფიჩხოვანი" (ქვემო ალვანი) — „თრიალეთი" (წალკა) 6:3, „ვარძია" (ასპინძა) — „არაგვი" (დუშეთი) 3:0, „არმაზი" (მცხეთა) — „იბერია" (ქარელი) 3:0, „განთიადი" (კასპი) — „ალგეთი" (მარნეული) 3:2, „ჩამომსხმელი" (ბორჯომი) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:0, „გარისი" (თეთრი წყარო) — „ცისკარი" (სიღნაღი) 6:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „გარეჯი" (საგარეჯო) 2:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — „მევენახე" (ვაზისუბანი) 0:1.

II ზონა

„ჩიხურა" (საჩხერე) — „რიწა" (გუდაუთა) 8:0, „კოლმეურნე" (გულრიფში) — „ნარუჯა" (მახარაძე) 1:1, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „ტეხურა" (დიდი ჭყონი) 6:2, „სენაკი" (ცხაკაია) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:1, „ტეხურა" (დიდი ჭყონი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:2, „ნაკადული" (ჩხოროწყუ) — „ავტომობილისტი" (ბათუმი) 3:0, „დინამო" (ქუთაისი) — „კოლმეურნე" (გულრიფში) 2:1, „განთიადი" (აბაშა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:1, „ოჯალეში" (ბანძა) — „მეშაქრე" (აგარა) 4:1, „რიწა" (გუდაუთა) — „ნარუჯა" (მახარაძე) 1:1, „შახტიორი" (ტყვარჩელი) — „ხვამლი" (ცაგერი) 2:0.

„ოქროს" თავთავი — ყუბანელებს

კრასნოდარის მხარის ტიმაშევსკის სტანიცაში გაიმართა საკავშირო ფინალური ტურნირი ფეხბურთში სოფლის გუნდებს შორის „ოქროს თავთავის" თასზე. გათამაშებაში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ყაზახეთის, მოლდავეთის, საქართველოს, სომხეთისა და უზბეკეთის გუნდები.

I ადგილი დაიკავა ადგილობრივმა გუნდმა, რომელმაც 12 შესაძლებლიდან დააგროვა 11 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან უზბეკეთისა და უკრაინის ფეხბურთელები.

II ლიგაში

II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების გამოტოვებული მატჩი სტეფანაკერტის „ყარაბახსა" და ლენინაკანის „შირაკს" შორის მოიგო „ყარაბახმა" — 3:0.

ამას გარდა, „შირაკს" წაგება ჩაეთვალა ერევნის „არაბკირთან" (II წრის მატჩი).

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 19 ოქტომბერი. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„ავიატორი" (თბილისი) — „კახეთი" (თელავი).** დასაწყისი 16 ს.

ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. „ავაზას" სტადიონი. **„ავაზა" (თბილისი) — განათლების სამმართველოს ოლიმპიური სპორტსკოლა (თბილისი).** 12 ს. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. **„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი).** 12 ს. „ლოკომოტივის" სტადიონი. **ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — 134-ე ექსპერიმენტული სკოლა (თბილისი).** 14 ს. მაუდკამვოლის კომბინატის სტადიონი. **მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრები — „განათლება" (ცხინვალი).** 16 ს.

მეორე ოქროს მედლით

თემურ ლაკია ჩვენი გაზეთის საშუალებით პირველად შარშან გავაცანით მკითხველებს. ამ ახალგაზრდამ წარმატებით იასპარეზა ტყვიის მსროლელთა საკავშირო შეჯიბრებაში, რომელსაც ტრადიციულად ატარებს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და ჩვენი რესპუბლიკიდან პირველმა მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი. ამ დღეებში ამგვარი ასპარეზობა გაიმართა ვოროშილოვგრადში, სადაც თემური ზედიზედ მეორედ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

მილიციის კაპიტანი, სპორტის ოსტატი თემურ ლაკია თბილისის ლენინის რაიონში მუშაობს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილედ. ორგანოს მუშაკებს საერთოდ ძალზე ცოტა თავისუფალი დრო რჩებათ, მაგრამ თემური მაინც ახერხებს სისტემატურად აიმაღლოს სპორტული ოსტატობა და ამას იგი ძირითადი საქმის საზიანოდ როდი აკეთებს. პირიქით, სამსახურშიც მოწინავეა.

— სპორტში მოპოვებული წარმატებები, — ამბობს ჩემპიონი,— იმ დიდი ყურადღებისა და ზრუნვის შედეგია, რასაც ბოლო ხანებში ჩვენს მიმართ იჩენს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა... სწორედ ამ ზრუნვის შედეგად წლეულს პირველად საქართველოს წარგზავნილებმა გუნდურ პირველობაში 8 საფეხურით გაიუმჯობესეს მდგომარეობა. იმავე სახეობაში (სნაიპერის საბრძოლო შაშხანით 300 მ. სროლა) III საპრიზო ადგილზე გავიდა მილიციის კაპიტანი ჯუმბერ ბროლაშვილი, რომელიც ინსპექტორად მუშაობს ონის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში. სპორტული შაშხანით ქალთა შორის ასპარეზობაში II ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა სოხუმელმა მარინე მურადიანმა.

ისევე როგორც შარშან, გუნდი ამ ასპარეზობისთვის მოამზადეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსმა დავით რაფავამ და „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს უფროსმა მწვრთნელმა თამაზ მეგრელიშვილმა.

ჯ. კასრაძე.

სურათზე: თემურ ლაკია ვარჯიშში.

ავტორის ფოტო.

ცას მამაცები იპყრობენ

ცნობილ საბჭოთა სპორტსმენს, თბილისელ ნიკოლოზ უშმაევს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „სნაიპერი ცისქვეშეთიდან". იგი ისე მართავს პარაშუტს, რომ შეუძლია კილომეტრიანი სიმაღლიდან სულ რაღაც 10-ოდე სანტიმეტრი რადიუსის მქონე წრის ცენტრში დაფრინდეს. უშმაევი მსოფლიოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონია. საპარაშუტო სპორტის 30 წლის ისტორიის მანძილზე ასეთი წარმატებისათვის ჯერ არც ერთ პარაშუტისტს არ მიუღწევია.

მეორე გამარჯვება მან ახლახან, ბულგარეთში, ყაზანლიყის ცაზე იზეიმა. 34 წლის პრაპორშჩიკი უშმაევი საწყისი ნახტომების შემდეგ მე-17 ადგილზე იყო, მაგრამ შეჯიბრების შუა პერიოდში IV ადგილზე გადაინაცვლა, მეშვიდე ნახტომის შემდეგ (ეს იყო ერთ-ერთი ნახტომი დაშვების სიზუსტეზე) გაუსწრო ლიდერს, ფრანგ კ. ლუბეს. დასკვნითი სამი ვარჯიში მან უნაკლოდ შეასრულა.

რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რომ შევძელი სალონიკის 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წარმატების გამეორება, — თქვა ნიკოლოზმა, — მაგრამ განსაკუთრებით მახარებს საბჭოთა ნაკრების გამარჯვება. შარშანდელ ჩემპიონატში საპრიზო ადგილზეც ვერ მოვხვდით... ამჯერად საბჭოთა და შვეიცარიის ნაკრებმა გუნდებმა ერთნაირი საჯარიმო ქულები დააგროვეს, დაინიშნა დამატებითი შეჯიბრება. თვითმფრინავიდან პირველად მჩატეწონოსნებმა არტურ ლინომ და იგორ ტერლომ „ჩაყვინთეს". მათი ნახტომები, ისევე როგორც ბორის რუმიანცევისა, ზუსტი აღმოჩნდა. ჩემი ჯერიც დადგა. ასე არასდროს მიღელვია, მაგრამ მიზანში ზუსტად მოვხვდი.

— ნიკოლოზი 9 წელია, რაც საკავშირო ნაკრებშია, — თქვა უფროსმა მწვრთნელმა ვ. ქარიკოვმა. — იგი გუნდის ნამდვილი ლიდერი, დიდი ნებისყოფის მქონე, მამაცი ადამიანია.

სპორტში თავის პირველ ნაბიჯებს ნიკოლოზი სიამოვნებით იგონებს: — სტავროპოლში, ბავშვობისას გატაცებული ვიყავი მძლეოსნობით, ცურვით, კალათბურთითა და ველოსიპედით. ერთხელ ველოსიპედით აეროდრომის ახლოს მოვხვდი. ცაში მოგუგუნე თვითმფრინავს უეცრად ერთიმეორის მიყოლებით გამოეყო ღრუბლის თეთრი ქულები — პარაშუტები. ლამაზი სანახობა იყო. გავიფიქრე: ნეტავი შევძლებ ასე, არ შემეშინდება? ხასიათის გამოცდის სურვილმა 1963 წელს აეროკლუბში მიმიყვანა. მთელი შემოდგომისა და ზამთრის განმავლობაში ვეუფლებოდი საპარაშუტო მეცნიერებას, ვითვისებდი კოშკიდან ხტომას. როცა მიწა მწვანე ბალახით დაიფარა, ნება დამრთეს შემესრულებინა პირველი ნახტომი თვითმფრინავიდან. მე ამას დღესასწაულივით ველოდი. გამეგონა, რომ იყო შემთხვევები, როცა ახალბედები უკანასკნელ მომენტში ხტომაზე უარს ამბობდნენ. მტკიცედ გადავწყვიტე: გადავხტები, რაც არ უნდა მოხდეს. არ მეშინოდა. გადმოვხტი თვითმფრინავიდან და, თითქოს აუზში ჩავყვინთე (როგორც ჩანს ცურვით გატაცება დამეხმარა), შექანდა გვარლები — პარაშუტი გაიხსნა — და მე... დავეკიდე სრულ სიჩუმეში.

ამასობაში ნიკოლოზმა სკოლაც დაამთავრა. გახდა ჩამომსხმელი. ძნელი იყო მუშაობის აეროკლუბში ვარჯიშთან შეთავსება. ხანდახან ღამის ცვლაში მუშაობდა და ამის გამო დღის რეჟიმის შემჭიდროება უწევდა. სხვათაშორის, ეს ეხმარებოდა საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებაში. 1965 წელს კი, როცა არმიაში გაიწვიეს, ითხოვა საჰაერო-სადესანტო ნაწილში ჩაერიცხათ. აქ მას საპარაშუტო ოსტატობას კ. კოსტინი ასწავლიდა. სამი წლის შემდეგ, როცა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა და ოლქის ჩემპიონი გახდა, მისი შეფობა იკისრა საპარაშუტო საქმის ერთ-ერთმა საუკეთესო სპეციალისტმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ალექსეი ხუხრინმა.

გავიდა კიდევ სამი წელი და ახალგაზრდა სპორტსმენი სსრ კავშირის ნაკრებში ჩარიცხეს. იმ პერიოდში ბრწყინავდნენ საპარაშუტო სპორტის „ვარსკვლავები": მსოფლიოსა და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები და რეკორდსმენები ვ. კრესტიანიკოვი, ლ. იაჩმენიოვი, ვ. შარაბანოვი, ო. კაზაკოვი და სხვები. ნიკოლოზი ცდილობდა მათთვის მიებაძა.

1972 წელს — აშშ-ში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მისი დებიუტის წელს — ბოლო ნახტომამდე იგი ლიდერთა შორის იყო. ნაკრების ახალბედისთვის ეს ცუდი შედეგი არ იყო, მაგრამ უშმაევი მაინც უკმაყოფილო ჩანდა. იგი მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა სსრ კავშირის ნაკრებმა საერთო გუნდურ გამარჯვება მოიპოვა.

უნგრეთის 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების მერე საეჭვო არ იყო მომდევნო ასეთ ტურნირში (იტალია) მისი წარმატება, მაგრამ ბედმა არ გაუღიმა. მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, 1978 წელს, როცა იგი უკვე მწვრთნელობას აპირებდა, კვლავ ავიდა კვარცხლბეკზე — „ვერცხლი" მოიპოვა.

— ჩემში გარდატეხა, — იხსენებს ნიკოლოზი, — მოახდინა ერთმა ეპიზოდმა: ვუყურებდი მოსკოვის ოლიმპიადისადმი მიძღვნილ

სატელევიზიო გადაცემას. გამოდიოდნენ ცნობილი ტანმოვარჯიშე ნიკოლოზ ანდრიანოვი და სამხტომის შესანიშნავი ოსტატი ვიქტორ სანეევი. გამაოცა გადამწყვეტი შეჯიბრებისთვის ამ სპორტსმენთა ძალების კონცენტრირებამ, „უკანასკნელ წუთამდე" ბრძოლის სურვილმა. გამახსენდა ერთი ასეთი შემთხვევა: ერთ ვარჯიშზე ძირითადმა პარაშუტმა მიმტყუნა (თუმცა ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდება), იძულებული გავხდი სათადარიგოთი მესარგებლა, მაგრამ იგი გვარლში გაიხლართა. სანამ მე პარაშუტი წესრიგში მომყავდა, ქარის დინებამ ტყის ზონისაკენ გამაქროლა. იქიდან გამოსასვლელად კი დათვლილი წამებიღა რჩებოდა. რის ვაივაგლახით შევძელი ტყისთვის თავი ამეცდინა. დავეშვი მისგან 20 მეტრის დაშორებით. ამის შემდეგ მივხვდი, რომ კიდევ მქონდა ძალის რეზერვი.

ნიკოლოზის ანგარიშზეა 7 ათასი ნახტომი, 20-ზე მეტი მსოფლიო და საკავშირო რეკორდი, მრავალი გამარჯვება საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებებში.

საუბრის დასასრულს ნიკოლოზმა ღიმილით თქვა: ძალზე მაცდუნებელია „ათიათასიანთა" რიცხვში მოხვედრა. ჯერჯერობით მსოფლიოში მხოლოდ ორი პარაშუტისტია, რომლებმაც 10000-ზე მეტჯერ შეასრულეს ხტომა და ორივე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელია — ანატოლი ოსიპოვი და იური ბარანოვი. ვნახოთ...

(საქდესი).

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — ნ. უშმაევი ასრულებს აკრობატულ ნახტომს; ქვევით — მსოფლიოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. უშმაევი მორიგი ნახტომის შემდეგ.

მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ.



ო. ყუინაშვილის ნახატები.

პ ა ნ ო რ ა მ ა

მეოთხედფინალში

ბულგარეთის დედაქალაქში დაიწყო წყალბურთში ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური ტურნირი, რომელშიც ესპანეთის „მანრესი", სოფიის „აკადემიკი", ლონდონის „სეტე ენდ ჩიმი" და მოსკოველ არმიელთა გუნდები მონაწილეობენ. პირველ ტურში „აკადემიკმა" მოუგო „სეტე ენდ ჩიმს" — 7:6, ხოლო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის სპორტსმენებმა დაამარცხეს ესპანელები — 7:0. ამ ჯგუფში ორი უძლიერესი გუნდი მიიღებს ნახევარფინალში ასპარეზობის უფლებას.

ტურნირის ეკვატორზე

ოდესაში გაიმართა უკრაინის საჭადრაკო ფედერაციის ქალთა საერთაშორისო ტურნირში VII ტურის შეხვედრები, რომელთაგან მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. ნ. გურიელი დამარცხდა საერთაშორისო ოსტატ ლ. სემიონოვასთან, ჩეხოსლოვაკიელი ე. კლიმოვა — ლ. ქილცოვასთან. ყაიმზე შეთანხმდნენ მასპინძელი ტ. მოროზოვა და რუმინელი ლ. ქიგმანი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

7 ტურის შემდეგ ასპარეზობას ლიდერობენ ლ. სემიონოვა — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ნ. გურიელი — 5, ი. ლევიტინა — 4,5 (2), ლ. ქილცოვა — 4,5 (1).

მხოლოდ ვაჟებში

ბუენოს-აირესში ჩატარდა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მხოლოდ ვაჟები მონაწილეობდნენ. მექსიკელმა გომესმა 5000 მეტრი 13.29,0-ში გაირბინა. 110 მეტრზე თარჯრბენი მოიგო ფოსტერმა — 13,55, ბადროს ტყორცნა — ორტურმა — 63,16 მ, ბირთვის კვრა — ოლდფილდმა (სამივე — აშშ) — 21,15.

ზონალურ პირველობაზე

სამტრედიის დოსააფის რაიონული კომიტეტის სასროლეთზე გაიმართა რესპუბლიკის სამტრედიის ზონალური პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. მონაწილეობდნენ ფოთის, ლანჩხუთისა და სამტრედიის ნაკრები კოლექტივები.

გუნდურ ასპარეზობაში I ადგილი დაიკავა სამტრედიის ნაკრებმა (მწვრთნელი ა. ჩაჩუა), რომელმაც რესპუბლიკის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

პირად შეჯიბრებაში ვაჟთა შორის 94 ქულით იმარჯვა შ. აკობიამ (სამტრედია), ქალთა შორის უძლიერესი იყო მ. ნინუა (სამტრედია) — 92 ქულა.

ი. ნიკოლეიშვილი.
(„ლელოს" კორ.).

ვინა ხართ თქვენ, დიდოსტატო შლაგე?

ფრანგულ საჭადრაკო ჟურნალ „იუროპ-ეშეკის" მონაცემებით, მსოფლიოს 48 ქვეყანაში 200-ზე მეტი მარკა გამოუშვეს ჭადრაკის თემაზე. მათ შორის არის პარაგვაი, მექსიკა, არგენტინა, ურუგვაი, გვინეა-ბისაუ, ცენტრალურ აფრიკული რესპუბლიკა და სხვები. ამ მარკებზე, როგორც წესი, ასახულია წარსულის დიდი მოჭადრაკეები სტეინიცი, ლასკერი, კაპაბლანკა, ალიოხინი და სხვები. მაგრამ ზოგიერთ „საჭადრაკო ფილატელიაში" დიდ კურიოზებსაც ვაწყდებით.

მალის მიერ გამოშვებულ ერთ ასეთ მარკაზე წარმოსახულია დ. იანოვსკი, რომელიც მართალია, საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რიცხვში შედიოდა, მაგრამ სასტიკი მარცხი იგემა მსოფლიოს ჩემპიონ ემანუილ ლასკერთან ორ მატჩში (სხვათა შორის, იანოვსკის ეკუთვნის ასეთი აფორიზმი: „ჭადრაკი მარია სტიუარტსა ჰგავს. იგი მშვენიერია, მაგრამ უბედურება მოაქვს).

აქვე გამოშვებულ მეორე მარკაზე ასახულია დიდოსტატი ეფიმ ბოგოლიუბოვი, მაგრამ ბოგოლიუბოვის ნაცვლად წერია „ბოგოიულოვი".

მესამე მარკა მთლად ანეგდოტურ ხასიათს ატარებს. უცნობი მამაკაცის პორტრეტს აწერია: „დიდოსტატი შლაგე". ასეთ დიდოსტატს კი, როგორც მკითხველს მოეხსენება, ისტორია არ იცნობს.

ჰოკეის ლიგის ვარსკვლავები

აშშ-ის ჰოკეის ლიგის ხელმძღვანელობამ შეადგინა ამ ლიგის ვარსკვლავების ორი ნაკრები.

პირველ გუნდში შედიან: მეკარე ტონი ესპოზიტო („ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსი"), მცველები პეტ ბერკი („ბოსტონ ბრუინსი") და ლარი რობინსონი („მონრეალ კანადიენსი"), თავდამსხმელები — გი ლაფლერი („მონრეალ კანადიენსი"), მარსელ დიონი და ჩარლი სიმერი (ორივე—„ლოს-ანჯელეს კინგზი").

მეორე გუნდის შემადგენლობა ასეთია: მეკარე დონ ედვარდსი („ბუფალო სეიბრზი"), ამავე კლუბის მცველი ჯიმ შონფელდი, მცველი „ტორონტო მეიპლ ლივრიდან" — შვედი ბორიე სალმინგი, თავდამსხმელები დენი გერი („ბუფალო სეიბრზი"), უეინ გრეცკი („ედმონტონ ოილერსი") და სტივ შატი („მონრეალ კანადიენსი").

რეკორდსმენს ხელს უშლის... კოლეგა

გდრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების ცნობილ მეკარე კროის თავის კოლექტივში ჩატარებული აქვს 93 ოფიციალური მატჩი, გაცილებით მეტი, ვიდრე ნებისმიერ სხვა თანამედროვე მეკარეს. კროი ახლაც შეუცვლელად თამაშობს და ფიქრობს მიაღწიოს 100 მატჩს ნაკრებში. ეს, მართალია, დიდი მიღწევა იქნებოდა, მაგრამ ამ საქმეში კროის ხელს უშლის მისივე ნაკრების მეორე მეკარე გრაპენტინი, რომელიც... კიდევ უფრო უკეთესად თამაშობს.

ადრე გრაპენტინი კროის დუბლიორი იყო, მაგრამ 1978 წლის ოქტომბერში პირველმა მეკარემ სერიოზული ტრავმა მიიღო და კარგა ხნით გამოეთიშა მწყობრიდან. ახლა კროი გამოჯანმრთელდა, ნაკრებს დაუბრუნდა, მაგრამ მიზნისკენ ძნელად მიიწევს წინ.

„სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, 42-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან

პირველი: 6 (კალათბურთი), 15 (წყალბურთი), 21 (ცხენოსნობა), 25 (ტრამპლინიდან ხტომა), 33 (რაგბი), 44 (ფიგურული ციგურაობა), შეღავათიანი ბურთულ 14 (ფრენბურთი).

მეორე: 5 (ბადმინტონი), 6 (კალათბურთი), 22 (ციგურები), 45 (ფეხბურთი), 46 (ჰოკეი), 47 (ბალახიანი ჰოკეი), შეღავათიანი ბურთულა 33 (რაგბი).

„სპორტლოტო 5 36"-დან

პირველი: 1 (კალათბურთი), 20 (ტრამპლინიდან ხტომა), 23 (წყალში ხტომა), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი), 28 (მშვილდოსნობა).

მეორე: 2 (ბიატლონი), 9 (წყალბურთი), 11 (ტანვარჯიში), 17 (ციგურები), 21 (აფროსნობა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 10324